№ 39 თებერვალი 21, პარასკევი 1892 თებერვალი 21, პარასკევი № 39

გაზეთი ღირს

თვეე	მან. კ.	თვეე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ივერია

1877—1892

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1892

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, აგჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სთავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეკი.

გაზეთი „ივერია“ თებერვლის პირველიდამ წლის დამლევამდე ღირს 9 მან. 50 კაპ.

„ივერია“

გამოვა 1892 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1892 წლისათვის მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესასვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

ფოთის საურთიერთო ნდობის საზოგადოების მმართველობა

ამით აუწყებს ამ საზოგადოების წევრთა, რომ ამ წლის 22 მარტს, დილის 10 საათზედ, დანიშნულია საზოგადოების კრება ფოთის ქალაქის გამგეობის დარბაზში. ამ კრებამ უნდა განიხილოს და დაამტკიცოს:

ა) 1891 წლის ანგარიში.

ბ) ამოირჩიოს: ერთი ახალი დირექტორი სამის წლის ვადით,

3) საბჭოს ორი დეპუტატი და

4) სარევიზიო კომისიის სამი წევრი და სამიც ამათივე კანდიდატი.

5) დამტკიცება 1892 წლის ხარჯთ აღრიცხვისა.

საზოგადოების მმართველობა სთხოვს იმ წევრთ, რომელთაც სხვისაგანა აქვთ ნარწმუნები კენჭი, § 36 ძალით რწმუნების წერილები სამის დღის წინად წარუდგინონ მმართველობას ე. ი. არა უგვიანეს ამ წლის 19 მარტისა. (3—2)

ბ-ნთ წევრთ კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებისას სთხოვენ შეიტანონ თავიანთი მორიგი საწევრო ფული. (2—1)

ტფილისი, 20 თებერვალი

ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო წერილი, რომელსაც სახელადა აქვს: „ხმა შორიდამ“ *) და რომელიც შეეხება ევრედ წოდებულს „ახალს და ძველს თაობას“ ჩვენში. ჩვენ გვინდა ჩვენს მკითხველს განვუზიაროთ ჩვენი აზრი ამ წერილის საგანზე და ვიდრე ამას ავასრულებდეთ, საჭიროდ დავინახეთ მოკლე წინასიტყვაობისავით წარვუმძღვაროთ წინ შემდეგი.

არა ერთხელ ატეხილა ჩვენს ფეხ-მოკლე ლიტერატურაში საუბარი ახალ და ძველ თაობაზე. ზოგი მწერალი საყვედურს აძლევს ახალს თაობას,—რატომ არას აკეთებო, ზოგი ძველს თაობას,—რატომ არა გააკეთე-რაო. იქნება ერთიც მართალი იყოს და მეორეც, ხოლო დღემდე-კი არავის გამოურკვევია—რა არის და ვინ არის ან ახალი, ან ძველი თაობა და არავინ იცის ვისზე ჰლაპარაკობენ, როცა ან ერთს, ან მეორეს ახსენებენ.

მართლადა, რა არის და ვინ არის ახალი, ან ძველი თაობა? ამ სახელებ ქვეშ ვინ და რა უნდა ვიგულისხმოთ? აშკარაა, ვინც ამ სახელებს რაიმე ფასსა სდებს და თუთიყუშივით გაგონილს არ იმეორებს, ახალს თუ ძველს თაობას იმათში ეძებს, რომელნიც საზოგადო სარბიელზე გამოსულან სამოქმედოდ. უეჭველია, ეს სახელები უნდა ეკუთვნოდეს ამ ჯურის ხალხსა, იმიტომ რომ სხვა ყველა, თავის ცალკე ბუდეში კარ-ჩაკეტილი, ამისთანა სახელების წინაშე არაფერს შუაშია. თუ ასეა,—და, ვგონებთ, უამისობა არც შეიძლება,—მაშ სიახლეს და სიძველეს ერთისა თუ მეორის თაობისას აქ უნდა მოვუნახოთ საბუთი და საფუძველი.

ხოლო საკითხი ეს არის: რა საწყაო ვიხმაროთ, რომ ან ერთს მივუწყოთ ახლობა, ან მეორეს ძველობა? ჰასაკი და წლოვანება? ეგ ხომ მტკნარი ბაშვობა იქნება. ან კიდევ ის, რომ ერთი გუშინ მოვიდა და მეორე დღეს მოდის? არც ხომ ეს იქმნება საკადრისი ჭკვათა-მყოფელის მკვლევარისათვის. მაშ სხვა რა ვიხერხოთ, რომ ერთის ჯურის საზოგადო სარბიელზე მომქმედი კაცი გავარჩიოთ მეორისაგან?

აი როცა ამ საკითხს მივაწყდებით ხოლმე ძალაუნებურად, მარტო მაშინ ვხედავთ, რომ ხსენებული სიტყვები ჩვენში ცალიერი სახელებია უსაგნო, ნაჭუჭია უგულო, ფრაზაა უსაქმო. საზოგადო სარბიელზე გამოსული კაცი უსათუოდ ან აზრის კაცია, ან საქმისა, ან ორისავ ერთად, თუ ისე ბედნიერად მიმადლებულია ბუნებისაგან, რომ შემძლებელია ერთისაც და მეორისაც. საზოგადო სარბიელი მოედანია საზოგადო ცხოვრებისა, რომელიც ამ შემთხვევაში სხვა არა არის-რა გარდა აზრთა და საქმეთა ერთმანეთთან ბრძოლისა ცხოვრებისავე ესე თუ ისე მოსაწყობად და მისამართავად. იმიტომ-რომ ყოველი აზრი, ყოველი საქმე, ცხოვრებისათვის ასე თუ ისე შესაწყნარებელი, იმავ არსებობისათვის ბრძოლის კანონს ექვემდებარება, როგორც სხვა ყოველი ამ ქვეყნიერობაზე და ისე არ იჩენს თავს, რომ ან ყოფილს აზრს და საქმეს წინ არ შეეხალეს და ომი არ გადაუხადოს ადგილის დასაჭერად.

ყოველს ამისთინა აზრს, თუ საქმეს სხვა ბევრ ძარღვთან ერთად ერთი უმთავრესი ძარღვიცა აქვს, რომელიც, ვითარცა უაღრესი და თვალ-საჩინო ნიშანი ცნობისა, ჰხდება საბუთად სახელ-წოდებისა. ამ სახელწოდებითვე იწოდება საზოგადო სარბიელზე მომქმედი კაცი იმისდა მიხედვით თუ—რომელის აზრისა, ან საქმის პატრონია და მიმყოლი. მაგალითებრ, როცა იტყვიან: ეს კაცი ნაციონალისტია, კოსმოპოლიტია, ლიბერალია, კონსერვატორია, იდეალისტია, რეალისტია ფრიტრედერია, პროტექციონისტია, რესპუბლიკელია, მონარქიელია, ამით არამც თუ მარტო მის მიერ ჩემებულს, შეთვისებულს და მომდვრებულს საზოგადოებურს აზრს და მიმართულებას გვისახელებენ, არამედ მათდა საპირის-პიროსაც.

რადგანაც ყოველს საზოგადო აზრს, თუ საქმეს ამყოლი, მოსარჩლე და მოძღვარი ბერიცა ჰყავს და ერიც, ჭაბუკიც და მხეოვანიც, ახალიც და ძველიც, გუშინდელი და დღევანდელიც ერთსა და იმავე დროს, ამიტომაც ვერც ერთი და ვერც მეორე, ვერც ძველი და ვერც ახალი ვერ მიაკერებს რომელსამე აზრს, თუ საქმეს, ცხოვრებაში ასე თუ ისე მოარულს, თავისს სახელსა, პირიქით, თვითონ აზრი, ან საქმე აკისრებს ხოლმე თავის სახელს თავის ამყოლსა და გამძღოლსა.

რასაკვირველია, იშვიათი არ არის ქვეყნიერობაზე, რომ ცალკე კაცის სახელითაც იწოდებოდეს, რომელიმე აზრი, თუ საქმე, მაგალითებრ, დარვინის სამეცნიერო აზრს და მოძღვრებას დღესაც დარვინიზმობით იხსენიებენ, ბაირონის მიმართულებას და აზრთა წყობას-ბაირონიზმობით. ამის მიხედვით იტყვიან ხოლმე ეს კაცი დარვინისტია, ბაირონისტია და მებრვე სხვა. ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, წინ აგვეტუზება ერთი საკითხი: თუ ცალკე კაცის სახელით საზოგადოდ სარბიელზე გამოსული კაცი განირჩევა ერთი მეორისაგან, რატომ მთელი წყობა, მთელი კრებული, რომელსაც ან ერთთ ან მეორე თაობა წარმოადგენს, თავის სახელით ვერ აღნიშნავს მის მიერ მოძღვრებულს საზოგადო აზრსა თუ საქმესა? ჩვენ ამის უარს არ ვამბობთ: ევეც შესაძლებელია. ხოლო დავაკვირდეთ იმას, რომ ამ შემთხვევაში სახელი ახალის, თუ ძველის თაობისა უნდა მიეთვისოს

---

*) იხ. „ივერია“, № 20.

ფელეტონი

მოხსენება თავად-აზნაურთა კახეთის რკინის გზის შესახებ

(დასასრული, იხ. „ივერია“ № 38)

„ამიერ კავკასიაში რკინის გზის გაყვანას ის შედეგიც მოჰყვა, რომ უღელი გამრუდდა ჯერ ერთი ნაწარმოების გასაღების სიადვილისა და მეორეც, სადაც რკინის გზა მოჰხვდა, იმ ადგილებში მიწის ფასმა აიწია, ხოლო კახეთში მიწისავე ფასმა დაიწია. მაგალითად, თუმცა ხალხი ერთგვარად მჭიდროდ არის დასახლებული (29 სული ერთს ოთხ-კუთხს ვერსზე), მაინც საშუალო ფასი სახნავ მიწისა გორის მაზრაში, ერთის მხრით და სართიჭალის მხარესა, სიღნაღისა და თელავის მაზრებში, მეორეს მხრით, დიდად განსხვავდება ერთი ერთმანეთისაგან. როგორც ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის დამფასებელთა კომისიის ცნობათაგან სჩანს, გორის მაზრაში ერთის დესეტინა (ორის დღიურის) სახნავ მიწის ფასი 50—80 მანათია, ხოლო ერთი დესეტინა იმ გვარისავე ხარისხის სახნავი მიწა კახეთში სართიჭალის ნაწილითურთ ფასობს 15—40 მანათად.

ამ გვარივე დიდი განსხვავებაა ტყის ფასშიაც. იმავე დამფასებელთა კომისიის ცნობათაგან სჩანს, რომ ერთი დესეტინა ტყე გორის მაზრაში ფასობს 80—120 მ., კახეთში—15—40 მ., ხოლო სიღნაღის მაზრაში, ალაზანს გაღმა, ფასი უფრო ნაკლებია: 7—12 მანათი, თუმცა იქაური ტყე გაცილებით უკეთესია გორის მაზრის ტყეებზე.

კახეთში მხოლოდ ვენახებს შერჩათ უფრო დიდი ფასი, ვიდრე ამიერ კავკასიის სხვა ადგილებში. ეს გარემოება იმითი აიხსნება, რომ კახური ღვინო ძლიერ კარგის თვისებისაა და იმისი ფასი, კახეთი რაც უნდა ცუდს მდგომარეობაში იყოს ურკინის-გზოდ, მაინც საიმისოდ არ დაიწევს. მაგრამ თუ ვენახების ფასს ღვინის ღირსების დაგვარად გავსინჯავთ, აქაც ზემოხსენეუბლის მინაგვარს ამბავს დავინახავთ. დესეტინა ვენახი გორის მაზრაში ფასობს 600—1,000 მან., ხოლო კახეთში 800—1,500 მანათი.

ამ გვარმა დაფოლებამ კახეთის ყოველ გვარ მამულებისამ თავისი გავლენა იქონია მთელის ამ ქვეყნის მეურნეობაზე, განსაკუთრებით-კი დიდს სამეურნეო საგნებზე. მემამულეებს არც სათადარიგო თანხა აქვთ, საადგილ-მამულო სათავად-აზნაურო ბანკიდგანაც ნაკლებს სესხს იღებენ და ამის გამო შეძლება არ შესწევთ მეურნეობის არამც თუ განსაკარგებლად, არამედ კვლავინდებურადაც-კი ვერ უწარმოებიათ თავიანთი მეურნეობა. შედეგი ამ გარემოებისა ისაა, რომ ხორბლეულობის თესვასაც უკლეს და აღარც ვენახებს აშენებენ წინანდებურად. მართალია, იქნება ვენახები ეხლა უფრო მეტია წინანდელზე, მაგრამ ისე გაცილებით მეტი-კი არ არის, როგორც მოსალოდნელი იყო, რომ ცუდს გარემოებაში არ ჩავარდნილიყო კახეთი.

ყოველს ზემოხსენებულს უხერხულობასა და სიძნელესთან ერთად მამულების გამიჯნვაც დაუმთავრებელია კახეთში; ხოლო განუსაზღვრელობა თავად-აზნაურთა და გლეხების მამულებისა ხელს უშლიდა და უშლის მამულის შემუშავების განკარგებას და ამასთანავე ვერც ახლად დაარსებულ სახელმწიფო სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის სესხი აუღიათ, რადგან მამულები, მართალია, ვითომ იმათს ხელშია, მაგრამ მფლობელობა-კი ჯერ არა აქვთ დამტკიცებული და ბევრჯელ, ვისაც მოჰხვდება, ისა ჰხნავს და სთესავს.

ამ სახით კახეთის მემამულეს იმისთვის არა სცალიან, რომ მამულის შემუშავების განკარგებას მოჰკიდოს ხელი, რადგან მთელს თავისს ძალღონეს იმისს ზრუნვას ანდომებს, სრულიად არ გავნადგურდე ბ უკანასკნელი სარჩოც არის ხელიდგან არ გამომეცალოსო. აი ამ სამძიმო და სასტიკ ბრძოლის მნახველმა არ შეიძლება არ დააფასოს გარჯის უნარი კახეთის მცხოვრებთა, რომელნიც ბრძოლის ველიდგან ჯერ თუმცა უკუ არა ქცეულან, მაგრამ ბევრი ზარალი-კი მოუვიდათ.

ამიერ კავკასიის რკინის გზის გაყვანამდე კახეთის უძვირფასესს ნაწარმოებს—ღვინოს—ტფილისის ბაზარში მეტოქობა არა უწევდა-რა, ხოლო ამ უკანასკნელ დროს ტფილისში, როგორც ხსენებულ რკინის გზის ცნობებიდგან სჩანს, 400,000 ფუთი ღვინო მოდის რკინის გზის ორივ მხრიდან. მარტო განჯიდგან მოდის 135,000 ფუთი ღვინო, ქიურდამირიდგან 162,000 ფუთი, ძეგამიდგანაც-კი 16,000 ფუთი, ხოლო გორის მაზრიდგან 40,000 ფუთამდე. მარტო აქედგანაც-კი ცხადად სჩანს, რომ ამიერ კავკასიის რკინის გზის გაყვანის შემდეგ კახურის ღვინის მოთხოვნილება 400,000 ფუთით შემცირდა, რომლის მაგივრადაც სხვა დაბალის ხარისხის და ამასთანავე რკინის გზის შემწეობის წყალობით იაფი ღვინო საღდება. ამასთანავე უნდა შევნიშნოთ, რომ ის ღვინოები მაინც კახურზე ძლიერ ნაკლებ ფასად იყიდება. ერთი ვედრო

იმ წყობას საზოგადო აზრებისას, მიმართულებისას, თუ საქმისას, რომელთაც აღიარებს, ჰმოძღვრებს და ასულდგმარებს ერთი თაობა და მეორე ეწინააღმდეგება, ეურჩება და უარობს. ხომ მარტო ამითი უნდა 'გაირჩეს ერთი თაობა მეორისაგან და აბა გვიჩვენეთ, ვის რა ამისთანა საზოგადო აზრი, მიმართულება, ან საქმე უწერია თავის დროშაზე? ან ვისი საზოგადო აზრი, მიმართულება, თუ საქმე ვისას ერჩის და ვისას ებრძვის?

კვლავ ვიმეორებთ: როცა ამისთანა საკითხს წავაწყდებით ხოლმე, მხოლოდ მაშინ ვცნობილობთ, რომ ჩვენში ამისთანა სიტყვები, როგორც ძველი და ახალი თაობა, ცარიელი და ფუჟე სახელებია და დროა თავისს პატრონს ჩაჰბარდნენ და საიდამაც მოსულან, იქ წავიდნენ. ამ სახელების ხმარება ჩვენში სხვა არა არის რა ბაშვობის მეტი, იმიტომ-რომ მარტო ენა ამოუდგმელს ბაშვს შეჰფერის ხმარება იმისთანა სიტყვებისა, რომელთაც არც საგანი აქვთ, არც საბუთი, არც მიზეზი არსებობისა.

ამიტომაც, როცა საყვედურს აძლევენ ახალს თაობას არას აკეთებებთო, ჩვენ ვერ გამოგვირკვევია, ვინ უნდა მიიღოს ეს საყვედური თავისს თავზე. თუ ამით ეხლანდელს დროს ემდურიან, ეგ სხვაა. ეხლანდელს დროში, როგორც წინანდელშიაც, ჰმოქმედობენ ახალნიც და ძველნიც და, მაშასადამე, აქ ან ერთი, ან მეორე არაფერს შუაში არიან ცალცალკე და თუ არიან ორნივ ერთად არიან დამნაშავენი. თუ რომელიმე წყობა ცალკე გამდგარა და განგებ დაურქმევია თავის თავისათვის ძველი, ან ახალი თაობა და ყოველს სხვას, თავ-თავის წყობის გარედ მოქცეულს, ან ერთს, ან მეორე სახელს ეძახიან,—ეგ ხომ საქმის ვითარებისაგან წარმომდგარი არ იქნება, ეგ ხომ ძალად აკვიატებულს სახელს მოასწავებს, თვით-ნებობით დაჩემებულს. ამისთანა ხალხზე მარტო ეს ითქმის: დეე ბალღებმა თავი შეიქციონ, ოღონდ-კი ნუ იტირებენო.

რა თქმა უნდა, ამ საგანს ბევრი სხვა ახსნა და გარკვევა სჭირია, მაგრამ რაცა ვსთქვით, ვგონებთ, საკმარისია ჩვენს თავს ვურჩიოთ, რომ დროა თავი დავანებოთ ამ გაცვეთილს სახელებს და მოვიკითხოთ მარტო ის, გუშინ რას ვდევდით ძველნიცა და ახალნიცა და დღეს რასა ვდევთ, რას ითხოვდა წინა დღე და რა პასუხი მისცა დღევანდელმა. ჩვენ ვეცდებით შემდეგ ეს საგანი ამ მხრითაც, ჩვენის შეძლებისამებრ, გამოვარკვიოთ.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

20 თებერვალი

ქუთაისი. ქალაქის საბჭოს მესამე რიგის ხმოსანთა არჩევანები საქალაქო საკრებულომ გააუქმა.

ახალი ამბავი

⁂ ჩვენ შევიტყეთ, რომ შინაგან საქმეთა მინისტრს დეპეშით მოუთხოვნია კავკასიის უმაღლესის მთავრობისათვის, დაუყოვნებლივ შემატყობინეთ, არის თუ არა ტფილისის გუბერნიაში მომეტებული სიმინდიო. რამდენადაც ვიცით, ტფილისის გუბერნიაში სიმინდის მოყვანას აგრე რიგად არ მისდევენ, რადგან არც ნიადაგი გუბერნიისა და არც ჰავა ამ მცენარეს დიდად ხელს არ უწყობს. თუ სთესავენ ზოგან სიმინდს, სარწყავს ალაგებში, ძალიან მცირედ სთესავენ, უფრო შინაურის ფრინველის გამოსაკვებად და არა კაცის საზრდოდ. მაზრის უფროსების მიერ მოწერილ ცნობათაგანაც უფრო ის აზრი გამოირკვა, რომ მოჭარბებული სიმინდი არსად არის ტფილისის გუბერნიაშიო. ბ-ნს მინისტრს პასუხი მიეწერება თანხმად ამ შეკრებილ ცნობებისა.

⁂ გუშინ და გუშინ-წინ ბ-მა ტფილისის პოლიცმეისტერმა ტფილისის დროებით თავშესაფარიდგან რკინის გზით ბაქოში და იქიდგან სემიპალატინსკის ოლქში გაგზავნა ორმოც-და-ათამდე დამშეული გლეხი, რომელთაც ბ-ნ პოლიცმეისტერს გამოუცხადეს თავიანთი სურვილი სემიპალატინსკის ოლქში დასახლებისა.

⁂ ამ დღეებში ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა მმართველობის წევრნი შეუდგნენ თელეთის მთებზედაც სხვა-და-სხვა ხეების თესლის თესვას, რადგანაც მთავრობასა სურს ტფილისის გარეშემო ტყე გააშენოს.

⁂ კავკასიის მთავარ-მართებელს მიუღია თხოვნა ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა ქუთაისის გუბერნიიდგან საზღვარ გარედ სიმინდის გატანის შესახებ და ამ დღეებში დეპეშით უთხოვნია ბ-ნ ფინანსთა მინისტრისათვის ქუთაისის გუბერნიიდგან სიმინდის საზღვარ გარედ გატანის ნებართვა.

⁂ ამას წინად ჩვენს გაზეთში მოხსენებული იყო, რომ ვიღაცა ჩინჩალაძემ მოჰკლა შეითან ბაზარში სპარსეთის ქვეშევრდომი მამედ-ალი-ხან-მამედ-ოღლიო. პოლიციის გამოძიებამ ამ ჟამად აღმოაჩინა, რომ მამედ-ოღლი ჩინჩალაძეს მოუკლავს გაძარცვის აზრით.

⁂ დირექტორმა ცხენის რკინის გზის უსახელო საზოგადოებისამ, ბ-მა რადლემ, წარუდგინა ქალაქის გამგეობას პროექტი რკინის-გზის ახალ ლიანდაგისა, რომელმაც უნდა შეაერთოს დიდუბე და ვოგზალი. პროექტის თანხმად, ეს ლიანდაგი მოდის დოლის მოედნიდგან ელისაბედის ქუჩაზე პირდაპირ ვოგზალის ქუჩამდე, ხოლო აქედგან აუხვევს ვოგზლისკენ. ამ ლიანდაგის ერთი შტო ჩაუხვევს დიდუბის ეკკლესიისკენ, წავა დიდუბის ქუჩით მუშტაიდის ბაღამდე, აქ ლორთქიფანიძის „ტრამვაიდგან“ გაბრუნდება აღმოსავლეთისკენ და ელისაბედის ქუჩაზე შეუართდება უმთავრესს ლიანდაგს.

⁂ ტფილისის მიხეილის სამკურნალოში ცხრამეტ თებერვლამდე 6 შავის სახადით ავადმყოფი მიუყვანიათ.

⁂ კვირას, 23 თებერვალს, დანიშნულია მეშვიდე დ მერვე ლექცია კავკასიის სამეურნეო საზოგადოების დარბაზში; ერთს ლექციას წაიკითხავს ი. სტაროსელსკი: „გავრცელება ფილოქსერისა და ბრძოლა მის წინააღმდეგ“, ხოლო მეორეს—პ. პრიტულენკო: „წესიერი მოვლა-გაშენება ხეხილიანის ბაღისა“. დასაწყისი ლექციებისა დილის 12 საათზეა. ფასი 20 კაპ., შეგირდებისათვის 10 კაპ.

⁂ ჩვენის გაზეთის გუშინდელს და დღევანდელს ნომერში დაბეჭდილია მოხსენება თავად-აზნაურთა კომისიისა კახეთში რკინის გზის გაყვანის შესახებ. ამ მოკლე ხანში მოხსენებას განიხილავს თავად-აზნაურთა საგანგებო კრება და, თუ მოიწონა და დაამტკიცა, შემდეგ წარადგენს, სადაც ჯერ არს.

⁂ 16 ამ თთვისას ამიერ კავკასიის სადგურს „გომში“ შემდეგი ამბავი მოხდა: როდესაც ამ სადგურის უფროსის თანაშემწე მაშინკო სამსახურში იყო, ღამის 10 საათზე, მისმა მოსამსახურემ, ტომით რუსმა, გაუქურდა სახლი—რაც-კი რამ ოქროსი და ვერცხლის ნივთი ან ტანისამოსი ჰქონდა კაცისა, თუ ქალისა, სულ ერთიან წაიღო—ესე 223 მანათის საღირალი. როცა მაშინკო სამსახურიდგან დაბრუნდა, სახლი მთლად გაოხრებული დახვდა. მოიკითხა თავისი მოსამსახურე, მაგრამ სად იპოვიდა. მაშინვე დეპეშით აცნობა გრაკლის სადგურის უფროსსა, რადგან სწორედ ამ სადგურზე უნდა ყოფილიყო გომიდან ხსენებულ ამბების შემდეგ წამოსული საქონლის მატარებელი, რომელსაც უნდა გამოჰყოლოდა ქურდი მოსამსახურე. მართლადა სადგურის უფროსმა და კონდუქტორებმა დაათვალიერეს მატარებელი და ერთს ადგილას მიკუნჭული ჰნახეს ქურდი, რომელსაც ყოველივე ნაპარევი აღმოაჩნდა, გარდა ორის ჯვრისა, ღირებულისა 33 მანათად. ესეც იმიტომ ვერ უპოვნეს, რომ ამ ნივთების დაკარგვა არ იყო ნაუწყები გომის სადგურიდგან. ქურდს ნივთები წაართვეს და შემდეგ მეისრეს ჩააბარეს, მაგრამ რამდენსამე ხანს შემდეგ კვლავ გაეპარათ ქურდი. ეხლა აღარავინ იცის, სად არის და სად არა. ამასთანავე არც გვარი იციან იმისი: ბ-ნს მაშინკოს სამადლოდ აეყვანა მოსამსახურედ, რადგან დამშეულ რუსეთიდგან ყოფილიყო გადმოხვეწილი.

⁂ გორში მყოფი სესსია ტფილისის ოლქის სასამართლოსი ყველიერებშივე ისევ დაბრუნდა ქალაქში და მცირეს ხნით შესწყვიტა საქმეთა განხილვა, რადგან დიდ-მარხვის პირველს კვირას მეტად ბევრი საქმე აქვთ მღვდლებს და სასამართლოსთვის ვერ მოიცლიანო. ოლქის სასამართლოს სესსია კვირას კვლავ მიდის გორში და ორშაბათიდგან ისევ განაგრძობს საქმეთა განხილვას. ტფილისიდგან მიდიან სასამართლოს წევრი ბ-ნი პარჩევსკი, მომრიგებელ-მოსამართლეს თანაშემწე თ. ჭავჭავაძე და ბრალმდებელის ამხანაგი ვოცკოი.

⁂ დ. ცხინვალი: აქ ხმა გავრცელდა, რომ ჩვენი მკურნალი ბ-ნი კირილოვი დაუნიშნავთ სამკურნალო დეპარტამენტის მოხელედ და იმის ალაგას ჰნიშნავენ თიონეთის სამაზრო მკურნალს ბ-ნს სტრელკოვსაო.

⁂ თელავი: ორიოდე დღის წინად მაზრის სამმართველოში საქმეების მწარმოებლის სახელზე იქმნა მიღებული წერილი ლაგოდეხიდან. ამ წერილის ავტორი გახლავთ ალექსი ერმალოზის ძე კობახიძე, რომელმაც თავისს სარბიელად ხალხის ძარცვა-გლეჯა და კვლა აირჩია და რომელსაც ამ ჟამად, როგორც თელავის, აგრეთვე მახლობელ მაზრების პოლიცია გაფაციცებით დაეძებს. კობახიძე წერილში მუქარას უთვლის ორს ბოქაულს, ბოქაულის ერთს თანაშემწეს და ზოგიერთ სხვა მოხელეთაც.—„ეხლა-კი შევსწყვიტე დროებით ჩემი მოქმედებანიო—ამბობს იგი,—მაგრამ გაზაფხულის დამდეგს, როცა ტყე შეიმოსება ფოთოლით, მაშინ გიჩვენებთ თქვენს სეირსა, სულ კუდით ქვას გასროლინებთო.—რა თქვენი საქმეა ყაჩაღის დაჭერა, თქვენ ქათმებს, ბატებს და დიაცებს სდიეთო!“ შემდეგ ჩამოთვლილი აქვს, თუ რომელი ბოქაულთაგანი სად და როდის ჩაუსაფრდა შესაპყრობად და ეს ფრიად უსიამენო საქმე როგორ აიცილა თავიდამ. დასასრულ კობახიძე პოლიციასავე აბრალებს თავის

კახური ღვინო საშუალოდ რომ სამ მანათად ჩავაგდოთ, გამოვა, რომ ამიერ კავკასიის რკინის გზის წყალობით კახეთი ყოველ-წლივ ერთს მილიონს მანათსა ჰკარგავს. კახეთიდგან 100 ვერსის სიშორეზე ვედრო ღვინის წაღება 25 კ. ჯდება და ამის გამო შეუძლებელია კახურმა ღვინომ რიგიანი მეტოქობა გაუწიოს განჯის ღვინოს, რომელიც რკინის გზით მოდის.

ესევე ითქმის პურის შესახებაც. ერთს დროს კახეთი თავისის პურით არა თუ ტფილისის ბაზარს ასდიოდა, არამედ მთელს ჯარსაც უძღვებოდა.

კახეთიდგან ტფილისში ხე-ტყის ჩატანაზე ხომ ლაპარაკიც არა ღირს. როგორც სამართლიანად ბრძანებს ბ-ნი რადციგი, კახეთის ტყეები ამ ჟამად მკვდარი თანხაა. როგორც რკინის გზის ცნობებიდგანა სჩანს, ტფილისში რკინის გზით ორისავე მხრიდგან ერთი მილიონი ფუთი ხე-ტყე მოდის. მარტო შედარებით ტყე-ნაკლებ ბაქოს მხრიდამ 70,000 ფუთი იგზავნება, ხოლო ბათუმის მხრიდან სადგურ ნიგოითიდგან 170,000 ფ. ამავე დროს სიღნაღისა და თელავის მაზრიდგან-კი არა, მარტყოფ-იორის ხეობიდგანაც-კი, რომელიც 40—60 ვერსის მანძილზეა ტფილისზე, შეშის წაღება გასაყიდად სწორედ ზარალია და აი რისთვის: ფუთის შეშის ჩამოტანა ნიგოითიდგან ტფილისში 4—5 კ. ჯდება, ხოლო ივრის ხეობიდგან-კი—20 კ. მაგრამ მიუხედავად ამისა, როგორც ქალაქის მიერ შეკრებილის ცნობებიდგანა სჩანს, ტფილისში მაინც მიდის კახეთის გზით შეშა, თუმცა, რასაკვირველია, ამასაც ის საქმევე ემართება, რაც, როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ, გაღმა მხრის მხალსა.

აი დღეს რა გაჭირვებულს მდგომარეობაშია ის ქვეყანა, რომელიც ბუნების მიერ მდიდრადაა დაჯილდოვებული და რომელსაც მხნე და საუკუნოებით ბრძოლაში გამოფოლადებული ხალხი ახვევია.

დახსნა ამ გაჭირვებიდგან შეუძლიან მხოლოდ დაუყოვნებლივ გაკეთებას კახეთის რკინის გზისას, რომელიც ერთბაშად აღადგენს მკვდრეთით და განახორციელებს დიდის ხნის ტკბილს ნატვრას კახეთისას, სადაც აქამდე ივრისა და ალაზნის ხეობა ამიერ კავკასიის ყველა კუთხეზე უფრო აყვავებულია.

მთავრობამ ეგრედ შემგნებელმა იმპერიის შორ განაპირა ქვეყნების საჭიროებათა, არა ერთხელ დაგვიმტკიცა თავისი ესეთი მზრუნველობა მას შემდეგ, რაც ჩვენს ქვეყანას განაგებდა დაუვიწყარი თავ. ვორონცოვი. თუმცა მთავრობამ წელს უმთავრესი თავისი ყურადღება დამშეულს გუბერნიებში გზების გაკეთებას მიაქცია, მაგრამ იმედი გვაქვს, არც ჩვენ დაგვტოვებს უყურადღებოდ, შეიგნებს ჩვენს გაჭირვებულს მდგომარეობას და ამ მოკლე ხანში, ვიდრე ჯერ კიდევ გვიან არ არის, რკინის გზას გაგვიმართავს კახეთში, რათა დაუახლოვოს კახელები ტფილისის ბაზარს და მისის შემწეობით უფრო შორეულს ბაზრებსაც. არა თუ მარტო კახელებისთვის იქნება ეს სასარგებლო, არამედ მრავალი სხვა კუთხეც იმპერიისა სარგებლობას ჰნახავს ამითი. მაგალითად, იმის მაგიერ, რომ წლევანდელის ჩვენის უხვის მოსავლით ჩვენს მოძმე მოუსავლობით დაზარალებულს რუსებს დავხმარებოდით, ჩვენს პურს ადგილობრივვე ვყიდდით ისე იაფად, რომ სწორედ დაუჯერებელია. ეს იმისს გამო მოხდა, რომ შეძლება არა გვქონდა, ტფილისის ბაზრამდე ჩაგვეტანა ჩვენი მოსავალი. მაგრამ პურს გარდა, ჩვენ მდიდრები ვართ ღვინითაც, ძლიერ კარგის ხარისხის ტყითაც, საქონლითაც, მატყლითაც, ერბო-ყველითაც და მრავალგვარის მადნეულობითაც, მაგალითად: გლაუბერის მარილით, ქვის ნახშირით, სპილენძით, გაჯით, ალაბასტრითა და ნავთითაც-კი, რომელიც ღირსებით ბაქოს ნავთსა სჯობია. ღმერთმა უწყის, კიდევ რამდენი რამ სიმდიდრე აღმოჩნდება, როცა რკინის გზის წყალობით ფულის პატრონები გაჩნდებიან ჩვენს ამ უკანასკნელს დროს მივიწყებულს ქვეყანაში, სადაც აქნობამდე უგზობის გამო მხოლოდ უბრალო ჩარჩები-ღა მოდიან და ულვთოდ სისხლსა სწოვენ ადგილობრივ მკვიდრთა.

აი, ის საზოგადო მოსაზრებანი, რომელზედაც ჩვენ მოვალეობად ვრაცხდით მიგვექცია უმაღლესის მთავრობის ყურადღება, ვიდრე თვით საკომერციო მხარეს განვმარტავდით განზრახულის კახეთის რკინის გზისას.

გავმარტეთ-რა, რომ კახეთისათვის ფრიად საჭიროა იაფი და ჩქარი გადატან-გადმოტანა საქონლისა, ჩვენ შეგვეძლო ბ-ნ რადციგის მოხსენებითაც დავკმაყოფილებულიყავით, რადგან იმ მოხსენებაში კარგი აზრია გამოხატული შესახებ კახეთის რკინის გზის შემოსავალისა; მაგრამ, როგორც ზემოდაც მოვიხსენიეთ, ბ-ნს რადციგს მეტის მეტმა და გადაჭარბებულმა სიფრთხილემ ზოგიერთი ცნობა და გარემოება არ მიაღებინა მხედველობაში, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს განზრახულ კახეთის რკინის გზის შემოსვლის გამოანგარიშების დროს. აი სწორედ ამის განმარტვას უნდა შევუდგეთ ეხლა“.

ამით თავდება ერთი ნაწილი მოხსენებისა. დანარჩენს ნაწილს მოხსენებისას შემდეგ ვაუწყებთ ჩვენს მკითხველებს.

ყაჩაღად გავარდნას და საქმის მწარმოებელს მადლობას უთვლის, რომ შენის დარიგებით კეთილს გზაზე გინდოდი დაგეყენებინე, თუმცა ვერ ვისარგებლე შენის რჩევითაო. მთელი წერილი დაცინვის კილოთია დაწერილი და თან მუქარით სავსეა. ზოგან ავტორი ისეთ უმართებულო სიტყვებსა ხმარობს, რომ ვერ გავიმეორებ აქ. ვინ იცის, სადამდის შეუძლიან მიაღწიოს ამ ურცხვ ავაზაკის საქციელმა, თუ დროზედ ლაგამი არ ამოსდეს. ღვთის წინაშე, პოლიცია ყოველს ღონისძიებასა ხმარობს მის შესაპყრობად, მაგრამ ამ ავაზაკს თანამგრძნობლები არ აკლდება, რომელთა შემწეობით ყოველ ნაბიჯის გადადგმა პოლიციისა იცის. ამბობენ, რომ კობახიძე ამ ჟამად დაღესტანშია ლეკებთანაო, რომელნიც ძალიან უმასპინძლდებიანო. მართლაცა და გაზაფხულზე კობიხაძეს ბევრის ცუდის საქმის ჩადენა შეუძლიან, რადგანაც მაშინ ტყეში უფრადვილად შეაფარებს თავს, ვიდრე ეხლა. ამიტომ პოლიციამ დაუყოვნებლივ უნდა იხმაროს ყოველი საშუალება იმის შესაპყრობად, თორემ გაზაფხულზე უფრო გაუძნელდება. ჩემის აზრით, არ იქნებოდა ურიგო, ისევ ლეკებისთვის მიემართა და იმათის შემწეობით გაეთოკა.

⁂ იქიდამვე: ამას წინად შევატყობინეთ, რომ თელავში ყრილობა მოხდა ზოგიერთ თავად-აზნაურთა თ. ზაქარია ანდრონიკაშვილის თავმჯდომარეობით. ამ ყრილობაზე, როგორც ვიცით, განხილულ იქმნა თ. ანდრონიკაშვილის აზრი შესახებ დაწესებისა თელავის და სიღნაღის მაზრებში ამხანაგობისა, რომელსაც საგნად ექნება კახური ღვინო გაასაღოს და კარგი ბაზარი გაუჩინოს. როგორც ეტყობა, ეს აზრი აზრადვე რჩება, რადგანაც განხორციელებისა არა ისმის-რა; აქაც როგორღაც გაჩუმდნენ და ისე გაცხოველებული ბაასი აღარ ისმის იმის შესახებ, თუ რა სარგებლობა შეუძლიან მოუტანოს ამ საზოგადოებამ კახეთს. თავისის მხრით აღარც თ. ანდრონიკაშვილმა შეგვატყობინა-რა ამ საქმის შესახებ. არ ვიცით, შეუდგა ამ ფრიად კეთილის აზრის განხორციელებას თუ არა. არ იქნებოდა ურიგო, კიდევ ყრილობა მოეხდინათ, უფრო დიდი, ამ საქმის შესახებ.

⁂ ქუთაისი: ამას წინად გაცნობეთ, რომ ზოგს ამომრჩეველს განზრახვა აქვს საჩივარი შეიტანოს საგუბერნიო საქმეთა საკრებულოში მესამე რიგის ხმოსანთა არჩევანების გამოვო. მართლაც, როგორც ეხლა შევიტყეთ, ორი საჩივარი შეუტანიათ და ამიტომ არჩევანების საქმეც გაგრძელდება.

⁂ იქიდამვე: შაბათსა და კვირას ახალს თეატრში წარმოადგინეს რამდენიმე ვოდევილი. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა. ხალხი დიდის ხალისით დაიარება. იმედი გვაქვს, ბბ-ნი კ. მესხი და ნ. გამკრეკლიშვილი არ გვისაყვედურებენ, თუ გამოვაცხადებთ, რომ რვა წარმოდგენამ მისცა მათ 2129 მანათი სულ ორის კვირის განმავლობაში. აქედამ დაინახავთ, რომ ჩვეულებრივი საყვედური, რომელსაც საზოგადოებას უძლვნიან ხოლმე ქართულის თეატრის მოთავენი გულ-გრილობის გამო, საბუთიანი არ არის. ოღონდ საქმე კარგად აწარმოეთ და საზოგადოება გულ-გრილობას არ გამოიჩენს თეატრისადმი. მხოლოდ საქმის რიგიანად წარმოებას მიეწერება ისა, რომ ქუთაისის საზოგადოება ხალისით ეკიდება ქართულს თეატრს. ამ დიდ-მარხვის განმავლობაში ბ-ნი კ. მესხი აპირობს თითო წარმოდგენა გამართოს ხოლმე კვირაში.

⁂ მუშტაიდის ბაღს ამ ბოლო დროს დიდი საცოდაობა ეწვია. ამ დღეებში კიდევ დაიწყეს გაჩეხა ერთის მისის კუნჭულისა, საცა შვენიერი გარგარის ხეები სდგას და უნდათ იქაც შენობა ააგონ („Кавказъ“).

⁂ „Нов. Вр.“-ს სიტყვით, კავკასიის მთავარ-მართებელს ახალი კანონ-პროექტი წარუდგენია მთავრობისთვის იმის შესახებ, რომ კავკასიის მთიელთა სოფლები სტანიცებად იქმნას გადაქცეული და მთიელთა საზოგადოებას ნადელები მიემატოს.

⁂ იგივე გაზეთი ამბობს: სოხუმის ეპისკოპოსს აგათოდორს მოუწადინებია, თავისს ეპარქიაში დააარსოს ძმობა დიდის მთავარის ალექსანდრე ნეველის სახელობაზედ. ამ ძმობის წესდება უკვე დამტკიცებულია უმაღლეს მთავრობისაგან. ძმობას საგნად ექმნება მართლ-მადიდებლობის გავრცელება მაჰმადიან აფხაზთა და სხვა სარწმუნოების ხალხთა შორის, სამრევლო სკოლებისა და საეკკლესიო წიგნთ საწყობთა გამართვა და სხვ..

⁂ გაზეთს „Нов. Обоз.“-ში დაბეჭდილია წერილი რედაქციის მიმართ დ. ხიზანაშვილისა თიანეთიდამ. მოგვყავს ეს წერილი შემოკლებით: „თუ რამდენად უიმედოა ჩვენი, თიონელების, მდგომარეობა მკურნალობის მხრით, შემდეგი მაგალითი გვიმტკიცებს: ამ ორის კვირის წინად მე ტფილისში ვიმყოფებოდი. ჩემი მეუღლე წითელის ქარით გახდა ავად. სახლობამ ერთად-ერთი თიონეთის მაზრის მკურნალი ბ-ნი ს. მიიწვია. მაგრამ ბ-მა ს. გადაწყვეტილი უარი სთქვა ავადმყოფთან წასვლისა: წითელი ქარი გადამდები ავადმყოფობაა და ვერ ვინახულებო; ამასთან ფეხიცა მტკივა და ვერ დავდივარო. რამდენჯერმე კიდევ მიჰმართეს ბ-ნს ს., მაგრამ ვერას გზით ვერ დაიყოლიეს, რომ ავადმყოფი ენახა. ცოტა ხნის შემდეგ, ჩემმა ოჯახობამ შეიტყო რომ ბ-ნს ს—ს სტუმრად ეწვია დუშეთიდგან დრუჟინის მკურნალი ბ-ნი პ. გაჰგზავნეს ამასთან კაცი, მაგრამ იგივე ს. ჩაერია საქმეში და გამოუცხადა მიგზავნილს კაცს, რომ არც მე წამოვალ და არც ჩემი სტუმარიო და ამასთანავე დასძინა, მე შევიტყე, რომ თქვენ სამხედრო ფერშალი მიგიწვევიათ ავადმყოფთან. მე იმას დავსჯამ, რადგანაც ავადმყოფობის წამლობის ნება არა აქვსო. მე-კიო, სწერს ხიზანაშვილი: — ფერშლის მადლობელი უნდა ვიყო, — რომ ავადმყოფი მოარჩინა. სამწუხაროდ, რამდენისამე დღის შემდეგ ავადმყოფი ახლა ინფლუენცით გახდა ავად. კიდევ სთხოვეს ბ-ნს ს. მობრძანება და კიდევ უარი განაცხადა. ბ-ნს ს. რომ ფეხი არა სტკიოდა, ეს იქიდგანა სჩანს, რომ ყოველ დღე იმ ქუჩაზედ დასეირნობდა, საცა ჩემი სახლია. რამდენად სინიდისიერად იქცევა მკურნალი ს. და როგორ გულმოდგინედ ასრულებს თავისს პირდაპირს მოვალეობას, ამისი გადაწყვეტა საზოგადოებისათვის მიმინდვია“.

⁂ 19 თებერვალს ალექსანდრეს ქუჩაზე, საღამოს 8 საათზედ იპოვნეს ექვსის დღის დაბადებულიმიგდებული ბავშვი და საბებიო ინსტიტუტში გაგზავნეს.

◆◆

უწმიდესის სინოდის განკარგულება

ხარისხი ებოძათ

უმართებელესის სენატის ამა 1892 წლის 9 იანვრის მე-3 №-რის ბრძანებით, სამსახურის წელთა შესრულებისათვის, თელავის სასულიერო სასწავლებელში მოსამსახურეთ: ზედამხედველის თანაშემწეს ნადვორნი სოვეტნიკს იაკობ მარშაკს ებოძა კოლლეჟსკი სოვეტნიკობა უფროსობით 1891 წლის 2 სექტემბრიდგან და მასწავლებელს კოლლეჟსკი სეკრეტარს ივანე გარსიაშვილს ტიტულიარნი სოვეტნიკობა უფროსობით 1889 წლის 20 სექტემბრიდგან.

უმართებელესის სენატის ამა 1892 წლის 16 იანვრის მე-6 №-რის ბრძანებით, სამსახურის წელთა შესრულებისათვის, ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში მოსამსახურეთ: ზედამხედველის თანაშემწეს ალექსანდრე სოსინოვსკის ებოძა კოლლეჟსკი ასესორობა უფროსობით 1884 წლის 27 იანვრიდგან და მასწავლებელს ალექსანდრე ხორბალაძეს — ტიტულიარნი სოვეტნიკობა უფროსობით 1882 წლის 4 სექტემბრიდან.

◆◆

სამეურნეო სკოლის საქმე ქუთაისში

(წერილი ქუთაისიდამ)

უეჭველია, მკითხველს ეხსომება, რომ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ქუთაისის განყოფილებამ ამ რამდენისამე წლის წინად განიზრახა პირველ დასაწყისის სამეურნეო სკოლის გამართვა თვით ქუთაისში, ეგრედ წოდებულს ფერმაში. წარსულის წლის დამლევს „ივერიაში“ მოხსენებული იყო, რომ სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ აღუთქვა სკოლას წლიურად სამი ათას ხუთასი მანეთი, ხოლო იმ პირობით, რომ ერთი მესამედი ხარჯისა — ერთხანად ცხრა ათასი მანეთი სკოლის მოსაწყობად და გასამართავად ❁ სამი ათასი მანეთი წლიურად — თავად-აზნაურობამ იკისროს და ამ ხარჯის წყარო უჩვენოს მთავრობას და ორი მესამედი ხარჯისა-კი — ერთხანად თვრამეტი ათასი მანეთი და წლიურად ექვსი ათასი — სკოლას საერო ხარჯიდამ ეძლიოსო. წარსულს შემოდგომაზე თავად-აზნაურობამ საგანგებო კრებაზე დაადგინა: ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკმა აძლიოს მისი ხვედრი ხარჯი და ამ შემთხვევაში, თუ რაიმე მიზეზისა გამო, ბანკს საშუალება არ ექმნება ამ ხარჯს გაუძლვეს, მაშინ საჭირო ფული თავად-აზნაურობამ თავიანთ წევრთ უნდა შეაწეროსო. ხარჯის კვალობაზე ორი მესამედი მოსწავლეებისა გლეხთა შვილები უნდა იყვნენ და ერთი მესამედი — თავად-აზნაურთა.

რაკი თავად-აზნაურობის თანხმობა და განაჩენი სამეურნეო საზოგადოების განყოფილებამ სამინისტროს აცნობა, ბ-ნმა მინისტრმა შესაძლოდ დაინახა სამეურნეო საზოგადოების განყოფილებისათვის ნება დაერთო სკოლის გამართვისა და თავისი აზრი იმ ხარჯების შესახებ წარედგინა სახელმწიფო საბჭოსთვის. წარსულის წლის დეკემბრის 30 გამოიცა სახელმწიფო საბჭოს აზრი, უმაღლესად დამტკიცებული, რომლის ძალითაც ხაზინამ წლიურად, 1892 წლიდამ მოყოლებული, სკოლას უნდა აძლიოს 3500 მან., სკოლასვე უნდა დაეთმოს სახაზინო მიწა, ზომით 37 დეს. 1300 ოთხ-კუთხი საჟენი (100 ქცევა და 100 ოთხ-კუთხი საჟენი); ხვედრი ხარჯი თავად-აზნაურობამაც უნდა აძლიოს და საერო თანხამაც. სახელმწიფო ქონებათა მინისტრმა უკვე აცნობა ფინანსთა მინისტრს, რომ თვრამეტი ათასი მანეთი ეხლავე მიეცეს სამეურნეო საზოგადოების განყოფილებასაო.

როგორც ჰხედავთ, საქმე ჯერ-ჯერობით კარგად მიდის. რასაკვირველია, რაკი ნება-რთვა მიიღო და ხარჯიც აქვს აღთქმული, სამეურნეო საზოგადოების განყოფილება მალე შეუდგება თვით სკოლის აგებას და მოწყობას. სრული საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ განყოფილება შესაფერის მხნეობით გაუძღვება საქმეს და მით მთელს ჩვენს მხარეს დიდს სამსახურს გაუწევს და სამუდამოდ სახსოვარს ძეგლს აიგებს.

ბევრი ლაპარაკი არაა საჭირო, რომ სამეურნეო სკოლა, თუნდაც პირველ დასაწყისი, ჩვენს ქვეყანას, ბუნებისაგან კარგად მიმადლებულს, ხოლო ჟამთა-ვითარებისა გამო ნივთიერად ხელმოკლეს და უკან ჩამორჩომილს, ცოტად თუ ბევრად წინ წასწევს. ამის გამო დიდი სიხარული გვმართებს და, რა თქმა უნდა, მკითხველიც სრულის თანაგრძნობით მიეგებება ამ ამბავს.

ა. ნა—ლი

◆◆

კიდევ სიმინდის საქმის გამო ქუთაისის გუბერნიაში

(წერილი ქუთაისიდამ)

სიმინდის გამო, ნება მიბოძეთ, რამდენიმე სიტყვა კიდევ მოგახსენოთ. რაც დრო მიდის, ხალხის გაჭირება მატულობს, ხოლო სხვა-და-სხვა შუამდგომლობამ, რომელიც გუბერნიის მარშალმა, ქალაქის მოურავმა, საურთიერთო ნდობის საზოგადოების მმართველობამ და საადგილ-მამულო ბანკისამ გასწიეს ფინანსთა და შინაგან საქმეთა მინისტრების წინაშე, ცოტად თუ ბევრად, სასოწარკვეთილებიდგან გამოიყვანა ხალხი. იმედი აქვთ, რომ ამდენი ხვეწნა-ვედრება უქმად არ ჩაივლის და ამ მოკლე ხანში ჩვენს ავლა-დიდებას გზა გაეხსნება. გარდა იმ შუამდგომლობათა, რომელნიც თავ-თავისს დროზე „ივერიაში მოხსენებული იყო, საურთიერთო ნდობის საზოგადოების მმართველობამ ბ-ნს ფინანსთა მინისტრს ვრცელის დეპეშით ხელ მეორედ მიმართა კიდევ:

„ბ-ნს ფინანსთა მინისტრს

მოსკოვის ქალაქის მოურავმა, გამოგზავნილმა სხვათა შორის ჩვენს გუბერნიაშიაც, დარწმუნებითა სთქვა, რომ ჩვენებური სიმინდი არ დასჭირდება არც განსაკუთრებულსა და არც მოსკოვის კომიტეტს და ამიტომ არც ისურვა ყიდვა სიმინდისა. არსადა სჩანან აგრეთვე წარმომადგენელნი ერობათა. სიმინდის გატანისათვის-კი სამზღვარ-გარედ უკეთესი დროა თებერვალი, მარტი და აპრილი. წინა წლებში აქაურს სიმინდს ჰყიდულობდნენ სამზღვარ-გარეთის ვაჭრების კაცნი მაშინვე, როგორც-კი მორჩებოდნენ ხოლმე მკვიდრნი სიმინდის მოჭრასა და გარჩევასა. ჰყიდულობდნენ ბაშინვე და ნაყიდს სიმინდს ინახავდნენ თავიანთს საკუთარს ბინაზე. ამიტომ მწარმოებელნი არა ჰზრუნავდნენ, რომ თვითონვე ჰქონოდათ შესაფერი და კარგად მოწყობილი ჭურჭელი სიმინდის ჩასაყრელად და დასაბინავებლად. ხოლო ცნობილია, რომ ყველა სხვა გვარ სარჩო-ჭირნახულში ისე მალე და ადვილად არა ფუჭდება-რა ნესტისა და ავდრისაგან, როგორც სიმინდი. რადგან სიმინდის მწარმოებელთ რიგიანი ძარ-ჯიხურები არა აქვთ, ამ ჟამად სიმინდი უკვე ფუჭდება და დიდს და აურიცხველს ზარალს ჰპირდება ხალხს.

რადგან სიმინდს მცირე ფასი აქვს, რაიცა შედეგია იმისი, რომ მისი ყიდვის მსურველი არავინ არის, და რადგან ქვეყანამ არ იცის, რა იქნება და რა მოელის მერმის, მწარმოებელნი იძულებულნი არიან შესამჩნევად შეამცირონ თესვა სიმინდისა. ხვნა-თესვა სიმინდისა და მოვლა მისი დღევანდელს გარემოებასა და ვითარებაში ყოვლად საზარალო საქმედ არის გადაქცეული.

ძნელია წარმოდგენა და აღწერა იმისი, რა დიდი უბედურებაც მოჰყვება ამისთანა ყოფას. აღებ-მიცემა ამ ჟამად მთელს გუბერნიაში შემდგარია და შეჩერებული; თანდათან უფრო მეტად გაძლიერებული უფულობა სულს უხუთავს საეკონომიო ცხოვრების ყველა დარგსა და შტოს, ხოლო ხალხში ჰბადავს დაღონებასა და უსასოობას. ხვნა-თესვა შემცირდება და ხალხში შესუსტდება ფასის გაღებისა და გარდასახადის გაძლოლის უნარიცა.

არავითარი სარგებლობა არ ეძლევა არც დამშეულთ და არც სახელმწიფოს და მკვიდრნი ქუთაისის გუბერნიისა-კი ასეთს დიდს ზარალში ცვივიან. მწარმოებელს თვალ-წინ უფუჭდება და უოხრდება თანდათან ის სარჩო, რომელსაც ისე შეჰყურებდა ხოლმე, როგორც მხოლოობითს იმედს და ერთად-ერთს წყაროს თავისს კეთილ-დღეობისას, უფუჭდება და უოხრდება, იმიტომ რომ არც შიდა-რუსეთში მიაქვს ვისმე და არც სამზღვარ-გარედ გასატანად ჰყიდულობს ვინმე.

რამდენიმე კვირა კიდევ მოლოდინისა და ტოკვისა და ხალხს სამუდამოდ დაეკარგება იმის ნახევარი, რასაც შეიძენდა, უკეთუ ეხლავე და დაუყოვნებლივ მიჰნიჭებოდა ნებართვა სიმინდის საიზღვარ გარედ გატანისა.

ყოველისავე ამის გამო ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოება ერთხელ კიდევ ჰბედავს თქვენს შეწუხებას, თქვენო მაღალ-აღმატებულებავ, და უმორჩილესად გთხოვთ, შუამდგომლობა გასწიოთ, რომ დაუყოვნებლივ ნება იქმნას დართული სიმინდის გატანისა სამზღვარ გარედ.“

ტალ-კვესი

◆◆

რუსეთი

13 ამ თთვისას კვლავ გამოაცხადეს ცნობანი იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაშია ამ ჟამად საქმე ხალხის გამოკვებისა 17 დამშეულს გუბერნიაში. წინად რამ ერობა თვგამოა-

ცხადეს ამდენი და ამდენი პურია საჭირო დამშეულს გუბერნიებშიო, გაზეთებმა ლაპარაკი დაიწყეს, ეგ ამბავი და ანგარიში ძლიერ გაზვიადებულიაო. ეხლა-კი, როგორც გამოცხადებულ ცნობათაგან სჩანს, ერობათა გამოანგარიშება მართალი ყოფილა. საშუალო ანგარიშით თითო დამშეულს გუბერნიისათვის გადადებული ყოფილა 7,236,500 მანათი; ყველაზე ნაკლები დახმარება დასჭირებია ორიოლის გუბერნიას — 2,360,000 მან., ყველაზედ მეტი სარატოვის გუბერნიას—13,500,000 მან., ყაზახისას—12,100,000 მან., სამარასას—11,900,000 მან. და სიმბირსკისა და ორენბურგისას თითოს 10 მილიონი მანათი. თუ მხედველობაში ვიქონიებთ მკვიდრთა რაოდენობას, მაშინ დიდად დამშეულ გუბერნიად უნდა ჩაითვალოს ტობოლსკის გუბერნიაც, რომელსაც დასჭირდა დახმარება—4,706,500 მანათი.

ამ უხვ დახმარების წყალობით, რომელიც საერთოდ 123 მილიონს აღემატება, ხალხის გამოკვების საქმე ამ ჟამად უფრო უზრუნველ-ყოფილად მიაჩნიათ, ვიდრე ამ ორის თთვის წინად ეგონათ.

ეხლა მთავრობის ყურადღება იმაზეა უმთავრესად მიქცეული, რომ რაც შეიძლება მხნედ და მომზადებულად მიეგზავნოს კარებზედ მომდგარს გაჭირვებას პირველ გაზაფხულისას, როდესაც გზები უნდა შეიკრას და პურის მიტანა ბევრს რკინის გზაზე დაშორებულს ადგილას შეუძლებელი უნდა გახდეს. შეკრებილ და ყველა გამოცხადებულ ცნობათაგან სჩანს, რომელს გუბერნიას რამდენი პური უჭირს, და აი სწორედ ამისდა მიხედვით უნდა გაისარჯოს მთავრობაც ამ თავითვე.

რაც საყიდელი და ადგილობრივ მისატანი პურია დარჩენილი ხალხის საკვებად, თუ სათესლედ, ამის ყიდვას მთავრობა თებერვალშივე მოახერხებდა, მაგრამ რკინის გზებია საქმის დაუმთავრებლობის მიზეზი. ზოგს გუბერნიას 10-ისა და მეტის დღის განმავლობაში სრულიად არ მისდის თურმე პური რკინის გზების დაგვიანების წყალობით. მაგალითად, სიმბირსკის გუბერნიიდგან სწერენ პეტერბურგის გაზეთებს, ეს სამი კვირაა, რაც ჩვენს გუბერნიაში ერთი მარცვალი პურიც არ მოუტანიათ რკინის გზითაო. ამ გვარს ამბავს იწერებიან სამარასი და ზოგ სხვა გუბერნიიდგანაც.

აშკარაა, ეხლავე საჭიროა, ყოველივე ღონე იღონოს მთავრობამ რკინის გზებით პურის ზიდვის განსაწესიერებლად, თორემ საქმე ხალხის გამოკვებისა შეიძლება ძლიერ შეფერხდეს.

◆

სასამართლოს მატიანე

თ. კონსტანტინე ბებუთოვის მოკვლის საქმე.

გუშინ, ხუთშაბათს, 20 თებერვალს, სამოსამართლო პალატის სისხლის სამართლის დეპარტამენტმა დაიწყო განხილვა ოლქის სასამართლოს ბრალმდებელის ამხანაგის ბ-ნ ვოცკოის მიერ გადატანილის საქმისა, ალექსანდრე აღნიაშვილის შესახებ, რომელსაც ჰბრალდებოდა, რომ ყარაიაზში თოფით მოეკლა თ. კონსტანტინე ბებუთოვი. თავმჯდომარეობდა კ. პ. კოლბასინი, წევრებად იყვნენ ნ. ვ. სტრუვე და ა. ი. ჩეხოვსკოი. მდივნობდა მდივნის თანაშემწე პოსლოვსკი და ბრალსა სდებდა ბრალმდებელი მ. მ. შარიგინი.

სასამართლოში დიდ-ძალი ხალხი დაესწრო, ასე რომ მთელი დარბაზი ავსებით სავსე იყო.

ეს საქმე დაწვრილებით იყო ჩვენს გაზეთში ნაამბობი, როდესაც ოლქის სასამართლოში გაირჩა *), და ამიტომ სრულიად აღარ აღვნიშნავთ ყოველსავე ნალაპარაკევს ბრალმდებელ-ვექილებისას. მოკლედ ვიტყვით მხოლოდ, რომ ბრალმდებელი ბ-ნი შარიგინი ამტკიცებდა: არავითარი საბუთი არა გვაქვს, ვითომ აღელვება-აღშფოთებისა და გაბოროტების დროს მოეკლას დამნაშავეს თ. ბებუთოვიო. სრულიად შესაწყნარებელი არ არის მოწმეთა ცივილაშვილისა და კოლაშვილის ჩვენებანი, რადგან ამათი ჩვენება ყველა სხვა მოწმეს ჩვენებას ეწინააღმდეგება. მარტო ის გარემოება, რომ ბრალდებული მივიდა ბებუთაშვილთან, ჯერ ტკბილად დაუწყო ლაპარაკი და მოკვლის შემდეგ უთხრა, „ნუ თუ ეხლაც არ იცი, რად გესროლე თოფიო“, განა არ ამტკიცებს, რომ აქ გაბოროტებას ადგილი არა ჰქონიაო.

ამასვე ამტკიცებდა სამოქალაქო საჩივრის წარმომადგენელი, ზარალის მეძიებელი, ნაფიცი ვექილი თ. ნიკოლოოზ ვახტანგის ძე ორბელიანი. მან უარი სთქვა, ზარალი არ მინდაო (ზარალად ხუთი თუმანი იყო წარდგენილი), მხოლოდ სასამართლოს ყურადღება მიაქცია რამდენსამე გარემოებას, რომელიც, მისის აზრით, ბრალდებულის მიერ მკვლელობის წინადვე მოფიქრებას ამტკიცებდა.

ბრალდებულის ვექილი გ. ს. ტერ-სტეფანოვი სცდილობდა დაერღვია საბუთები როგორც ბრალმდებელისა, ისე მოკლულის დედის ვექილისა. დასასრულ ბ-ნმა ტერ-სტეფანოვმა განაცხადა, რომ აშკარაა, ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილება სრულიად სამართლიანიაო, რადგან ოლქის სასამართლომ თითონვე გამოჰკითხა მოწმეებს, უფრო უკეთ გაითვალისწინა ყოველივე გარემოება საქმისა და სურათი მკვლელობისა. ამას გარდა, მანვე მიიღო მხედველობაში, რომ მოკლულს უთქვამს ბრალდებულისათვის, დედაშენი როსკიპი დედაკაციაო. თუმცა ბრალმდებელი ამბობს, რომ დედის გინება ჩვეულებრივი ამბავიაო, მაგრამ უბრალო გინება დედისა სხვაა და დედის როსკიპ დედაკაცად ხსენება—სულ სხვა. ყოველ ამას გარეშე, მხედველობაში იქმნა მიღებული, რომ ბრალდებული ნასვამი ყოფილა, ადრევე აღელვებულ-გაბოროტებული და არა-სრულწლოვანიო.

სასამართლომ იქავე გადასაწყვეტად მიიჩინა:

ა) დამტკიცებულად იქმნას ცნობილი, რომ ალექსანდრე აღნიაშვილს გაბოროტებისა და აღელვების დროსკი არ მოუკლავს თ. კონსტანტინე ბებუთოვი, არამედ ადრევე მოფიქრებულის განზრახვით, თუ არა, და

ბ) რა სასჯელი უნდა მიენიჭოს დამნაშავესაო?

ნახევარს საათს შემდეგ, სწორედ ნაშუადღევის ორს საათზედ, სასამართლომ შემდეგი განაჩენი გამოიტანა: ალექსანდრე აღნიაშვილი ცნობილ იქმნას დამნაშავედ, რომ გაბოროტებისა და აღელვების დროს მოუკლავს თ. კონსტ. ბებუთოვი, ხოლო, ბრალდებათა წესდების მე-2 ნაწილ. 1455, 149, 7 მუხ. მე-19, 134, 135 პუნქტ. მე-2 ხარისხის თანხმად, ჩამოერთვას ყოველივე ქონებრივი უფლება და გაიგზავნოს დასასახლებლად ციმბირის უფრო ნაკლებად მოშორებულს ადგილებში. ჩამორთმეულივე ჰქონდეს საკუთრებისა და საოჯახო უფლებანი.

დამთავრებულს განაჩენს სასამართლო პალატა 5 მარტს გამოაცხადებს, დილის 10 საათზედ.

◆

წერილი რედაქციის მიმართ

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა გამოვუცხადო ბ-ნს ალექსანდრე ლევანის ძეს თოიძეს, რომელმაც პირველ იანვრიდამ ამა წლისა თავისის ხარჯით დაუკვეთა ჟურნალი „ჯეჯილი“ ჩემდა რწმუნებულს სკოლას.

ლიხაურის სკოლის მასწავლებელი თ. გოგიტიძე

16 თებერვალი.

◆

დეპეშა

19 თებერვალი

პეტერბურგი. დღეს მომრიგებელმა მოსამართლემ მე-18-ე ნაწილისამ გაარჩია საქმე მარგარინის ქარხანაში ყალბის ერბოს მომზადებისა და დაადგინა, რომ ქარხნის დირექტორი, პირველის გილდის ვაჭარი ანდერსონი, ერთის თთვით დაპატიმრებულ იქმნას და 156 ბოჩკა ყალბი ერბოც, წონით 500 ფუთამდე წაერთვას.

ლონდონი. ლონდონის ქვის ნახშირის ბაზარში ნახშირის ფასმა ძლიერ აიწია. დღეს კიდევ მოემატა ფასი 4 შილინგი ერთს ტონნზე.

ვენა. „Reuchswehr“-ი იუწყება, ჯართა ახალის განწესების ძალით, მესამე პოლკი დრაგუნთა, საზღვარზე ცხენოსან ჯარის გასაძლიერებლად, გადაყვანილ იქმნება კრაკოვშიო.

რადგან ვენის მთავარ-ეპისკოპოსმა ნება არ დართო, რომ კათოლიკეთა ეკკლესიებში ქადაგება წარმოსთქვან ხოლმე ჩეხურს ენაზედ, ამიტომ მრავალი ვენაში მცხოვრები ჩეხი აპირობს მართლმადიდებლობის მიღებას.

პეტერბურგის ბირჟა, 18 თებერ.

	მყიდველისა.	გამყიდველისა.	გაყიდულისა.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო .	8, 05	8, 08	— ,,
ტამოჟნის კუპონები .	161	$161^{3}/_{4}$	— ,,
მანეთიანი ვერცხლის ფული	— ,,	1, 17	— ,,
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	237	— ,,	— ,,
—მეორისა	$226^{1}/_{4}$	— ,,	— ,,
—მესამისა	— ,,	— ,,	— ,,
სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . .	$198^{1}/_{4}$	— ,,	$200^{1}/_{2}$
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა:			
6%	$102^{1}/_{4}$	— ,,	— ,,
5%	$99^{1}/_{4}$	— ,,	— ,,
ქუთაისის ბანკისა 6% .	$102^{1}/_{4}$	— ,,	— ,,
5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა	99, 12	— ,,	— ,,

პეტერბურგის ბირჟის უწყება

12-ს თებერვალს

გირაოს ფურცელნი:

ტფილისის თავად-აზნაურთა ბანკისა:	მყიდველი.	გამყიდველი.	გაიყიდა.
6%	$102^{1}/_{4}$	—	—
5%	$99^{1}/_{4}$	—	—
ქუთაისისა:			
6%	$102^{1}/_{4}$	—	—
5%	$99^{1}/_{8}$	$99^{1}/_{2}$	—
ტფილისის საკრედიტო საზოგადოებისა.			
5%	$97^{1}/_{4}$	98	$97^{1}/_{2}{}^{3}/_{4}$

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე; მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ორშაბათობით, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

ბათუმში მოდის:

ორშაბათობით: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პარასკეობით, დილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის კერჩსა და ნოვოროსიისკზე. კვირაობით, დილით, სტამბოლიდგან.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, განთიადისას.

ფოთიდგან გადის:

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით, დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობით საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1892 წ. 18 იანვრიდამ ახალ განკარგულებამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. „ კ.
წითელი „ 1-ის ხარისხ. „ „ „
„ „ 2
თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ „ „
„ „ „ 2 „ „ „
„ „ „ 3 „ „ „

ჯვარის მამის პურის ლავაში.

1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. კ.
მე-2 „ „ „ „ „
მე-3 „ „ „ „ „
ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა 8 „
„ „ 2 „ „
სუკი — — — 14 „
ცხვრის ხორცი — — 8 „
ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. 1 გ. 7 „
მე-2 ხარ. ტყავიანად 6 „

რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.
„ . . . , . „ . 6 ს. 50 წ. სალ.
ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. სალ.
„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.
ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.
ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. სალ..

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. სალ.
განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ იუწყება, რომ 25 ამა თებერვალს, დღისით 12 საათზე, გამგეობის სადგომში მოხდება ვაჭრობა, სამაგიეროდ იმისა, რომ 8 თებერვალს არ მოხდა იჯარით გაცემა ქუჩების მოკირწყვლისა 1892 წელს. მსურველთ პირობის შეტყობა შეუძლიანთ ყოველ დღე, გარდა კვირისა, დილის 10 საათიდგან 12 საათამდე. (3—2)

კბილის ექიმი

ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 10 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—23)

ყველგან!!!

საპონი ოლეო-ვაზელინი

როიალ-კონგო!

ახალი ამბავი!!!

სურნელოვანი წყლები

FIN DE SIÈCLE

და სხვა საპარფიუმერო და საკოსმეტიკო საქონელი

ფაბრიკისა

,,ვიქტორია რეგინასი‘‘

ე. გოდლო და ამხ.

მოსკოვში.

(10—2)

სომეხთა ნერსესიან სასულიერო სემენარიის სამზრუნველოს სადგომში

4 მარტს 1892 წლისა, საღამოს 8 საათზე, ვაჭრობა მოხდება (განუმეორებლად) იჯარით გასაცემად სომეხთა ეკკლესიებისთვის წმინდა სანთლის ყიდვისა.

პირობათა შეტყობა შეიძლება სამზრუნველოს კანცელარიაში ყოველ დღე, გარდა კვირა უქმეებისა, დილის 10—12 საათამდე. (3—1)

---

*) იხ. „ივერია“ 1891 წ. №№ 219, 220 და 221.

Дозв. ценз. Тифлисъ, 20-го Февраля 1892 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.